


„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი აცხადებს 2011 წლის შედეგებს

სს „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი, უმსხვილესი საპენსიო ფონდი საქართველოში, რომელიც იმართება ერთობლივად შპს „აბზი ასეტ მენეჯმენტისა“ და სს „ალდაგი ბისიას“ მიერ, აცხადებს 2011 წლის შედეგებს:


- „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის წლიურმა წმინდა საინვესტიციო მოგებამ შეადგინა 12.7%. საპენსიო სქემის დაარსებიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე საინვესტიციო მოგების კუმულატიური მაჩვენებელი 96.1%–ით განისაზღვრა, რაც საგძნობლად აჭარბებს ანალოგიურ პერიოდში ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის მაჩვენებელს (გრაფიკი 1).
- 2011 წელს „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის აქტივების მთლიანი ღირებულება 36.5%–ით გაიზარდა და შეადგინა 6.8 მილიონი ლარი (გრაფიკი 2). საპენსიო ფონდის დაარსებიდან აქტივების მთლიანი ღირებულება ყოველწლიურად საშუალოდ 92.9% იზრდებოდა.

გრაფიკი 1. „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის მოგება და ინფლაცია (კუმულატიური)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, კომპანიის შეფასებები

გრაფიკი 2. „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის აქტივების მოცულობა (მლნ. ლარი)



წყარო: კომპანიის შეფასებები

„სასიხარულოა, რომ „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდმა კიდევ ერთი წელი დაასრულა წარმატებით. მიუხედავად საერთაშორისო ბაზრებზე არსებული არასახარბიელო სიტუაციისა, საპენსიო ფონდმა შეძლო მაღალი საინვესტიციო მოგების და წმინდა შენატანების დაფიქსირება“, აღნიშნა „ალდაგი ბისიას“ გენერალურმა დირექტორმა **ნიკოლოზ გამყრელიძემ**.

„მოხარულნი ვართ, რომ „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდმა შეინარჩუნა ზრდის მაღალი ტემპი და გადააჭარბა 2011 წლის დასაწყისში დასახულ მიზანს – მთლიანი აქტივების ღირებულების 6.5 მილიონ ლარიან მაჩვენებელს. 2012 წლის ბოლოსთვის ვგეგმავთ ამ მაჩვენებლის 7.5 მილიონ ლარამდე გაზრდას“, აღნიშნა „აბზი ასეტ მენეჯმენტის“ გენერალურმა დირექტორმა **ბიძინა ბეჟუაშვილმა**.

„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდის შესახებ

„ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი დაფუძნდა საქართველოს მოწინავე სადაზღვეო კომპანია „ალდაგი ბისიას“ მიერ 2005 წლის ივნისში. 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის აქტივების ღირებულება შეადგენს 6.8 მილიონ ლარს და კლიენტთა საერთო რაოდენობა 8,500 ადამიანით განისაზღვრება. „ალდაგი ბისიას“ საპენსიო ფონდი არის საქართველოს უმსხვილესი საპენსიო ფონდი. საპენსიო პორტფელში შედის ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების ფასიანი ქაღალდები და ფულის ბაზრის ინსტრუმენტები, გრძელვადიანი დეპოზიტების ჩათვლით.

„აბზი ასეტ მენეჯმენტის“ შესახებ

კომპანია „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ (აბზი) შეიქმნა 2009 წლის სექტემბერში, მენეჯმენტის მიერ შპს „გალტ ენდ თაგარტ ასეტ მენეჯმენტი“-ს „საქართველოს ბანკიდან“ გამოსყიდვის შედეგად. ამჟამად აბზი მართავს 40 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქტივებს და წარმოადგენს უმსხვილეს დამოუკიდებელ აქტივების მართვის კომპანიას საქართველოში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.aldagibci.ge, www.abbey.ge ან დაგვიკავშირდით:

გიორგი ტატიშვილი
საპენსიო ფონდის უფროსი
ალდაგი ბისიაი
+995 322 444 808 (5431)
gtatishvili@aldagibci.ge

ბიძინა ბეჟუაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
აბზი ასეტ მენეჯმენტი
+995 595 227 997
bbejushvili@abbey.ge